საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქატაძე შოთა ვლადიმერის ძე

შ. მიქატაძე

ი. სტალინის ქანდაკ. ფიგურა. მონუმენტი გორში (1950, აღებულია 2010).

მიქატაძე შოთა ვლადიმერის ძე (12. III. 1905, სოფ. ძიმითი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 22. IV. 1979, თბილისი), მოქანდაკე. საქართვ. სახ. მხატვარი (1963). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1930); იყო ი. ნიკოლაძის მოწაფე. 1934-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1963-იდან – პროფესორი). იყო ქართველ ხელოვანთა საზ-ბის წევრი. ძირითადად მონუმენტალისტია. მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: „კოლმეურნე“ (1932, მარმარილო; მსოფლიო გამოფენა, პარიზი). კინოთეატრ რუსთაველის გვერდით ფასადზე ფიგურა „ალპინისტი“ (1939, თბილისი); „შვილის პორტრეტი“ (1942, მარმარილო, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი), ი. სტალინის ძეგლი (1952, ბრინჯაო,

გორი; აიღეს 2010), ილია და აკაკი (სკულპტურული კომპოზიცია; 1958, ბრინჯაო, თბილისი. ა. წერეთლის ფიგურის ავტორია ვ. თოფურიძე); შრომა, მეცნიერება, ტექნიკა (სკულპტურული კომპოზიცია; ვ. თოფურიძესთან ერთად, თუჯი, 1958, აიღეს 1989); ვ. ი. ლენინის ძეგლები: ოზურგეთი (1956; აიღეს 1990); ვიბორგი (1957, რფ); ნიკოლაევი (უკრაინა, 1957, აიღეს 2014), გომელი (1958, ბელარუსი); ნ. კალანდარიშვილი (1960, ბრინჯაო, ოზურგეთი; აიღეს 1989); ი. ჭავჭავაძე (1961, ბრინჯაო), კომპოზიცია „გაზაფხული“ (1970); „დავით აღმაშენებელი“ (1976, თაბაშირი) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. თბილისში არის შ. მიქატაძის ქუჩა.